

შპს „მეგა ელექტრონიკსი“

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და აუდიტორთა პასუხისმგებლობები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მეგა ელექტრონიკსი“ (შემდეგში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის დაცვით (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მსს საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში. მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:
- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2020 წლის 24 სექტემბერს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ.

დირექტორი :

თორნიკე ბოლქვაძე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განახილავს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და აუდიტორთა პასუხისმგებლობები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მეგა ელექტრონიკსი“ (შემდეგში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის დაცვით (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მსს საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში. მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:
- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2020 წლის 24 სექტემბერს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ.

დირექტორი :

თორნიკე ბოლქვაძე



სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის.....	5
2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....	6
2019 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6
2019 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7
ზოგადი ინფორმაცია.....	8
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	8
განცხადება შესაბამისობის შესახებ	8
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	9
ფული და ფულის ეკვივალენტები.....	9
ამონაგების აღიარება.....	9
ძირითადი საშუალებები.....	10
იჯარა	10
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	11
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	11
სავაჭრო ვალდებულებები	11
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	11
1. ამონაგები	12
2. სხვა შემოსავალი.....	12
3. ფინანსური დანახარჯები.....	12
4. დაბეგვრამდე მოგება.....	12
5. თავის მხრივ ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:.....	13
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	13
7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი.....	13
8. ძირითადი საშუალებები.....	13

9. არამატერიალური აქტივები.....	13
10. სავაჭრო ვალდებულებები.....	14
ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები	14
11 კაპიტალი	14
12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.....	14
15. პირობითი ვალდებულებები	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის

	შენიშვნა	2019 წელი ლარი
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	12	268 458
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	38 583
გადახდილი ავანსები		29 456
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	1 472 573
სულ მოკლევადიანი აქტივები		1 779 614
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	8	9 158
არამატერიალური აქტივები		0
სულ გრძელვადიანი აქტივები		9 158
სულ აქტივები		<u>1 818 228</u>
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	10	711 422
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის		
გადასახდელი ხელფასები		12 219
ბანკის სესხი		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები		723 641
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		1 094 587
სულ კაპიტალი		1 094 587
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		<u>1 818 228</u>

დირექტორი

თორნიკე ბოლქვაძე

მთ.ბუღალტერი

ალეკო მაჭარაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის

	შენიშვნა	2019 წელი ლარი
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	12	268 458
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	38 583
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	1 472 573
სულ მოკლევადიანი აქტივები		1 779 614
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	8	9 158
არამატერიალური აქტივები		0
სულ გრძელვადიანი აქტივები		9 158
სულ აქტივები		<u>1 788 772</u>
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	10	711 423
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		-29 456
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის		
გადასახდელი ხელფასები		12 219
ბანკის სესხი		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები		694 185
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		1 094 587
სულ კაპიტალი		1 094 587
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		<u>1 788 772</u>

დირექტორი

მთ.ბუღალტერი



2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნა	2019 წელი ლარი
ამონაგები	1	3 360 593
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	-1 939 262
საერთო მოგება		1 421 331
სხვა შემოსავალი	2	122 754
მიწოდების ხარჯები		-9 571
ადმინისტრაციული ხარჯები	5	-439 927
სხვა ხარჯები		0
სესხის პროცენტი		0
მოგება ზარალი საკუროსო სხვაობიდან		0
მოგება დაბეგვრამდე		1 094 587
მოგების გადასახადის ხარჯი		0
მიმდინარე წლის მოგება		0
სხვა არსაოპერაციო ხარჯი		0
საგარანტიო ანარიცხი		0
ბრუნდ ნეიმის აქტივად აღიარება		0
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		0
დივიდენდები		0
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		1 094 587

2019 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ კაპიტალი ლარი
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	0	0	0
წლის შემოსავალი	0	1 094 587	1 094 587
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	0	1 094 587	1 094 587

2019 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2019 წელი ლარი
შემოსავალი სულ	3 456 634
სულ ნედლეულის გასავალი:	3 064 111
საოპერაციო ფულის გასავალი	116 572
ფულის ნაშთი საოპერაციო საქმიანობიდან	275 951
შემოსავალი საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირ. საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხა	
ძირ. საშუალებების შეძენა ნაღდ ფულზე	
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	0
ნაშთი საოპერაციო და საინვესტ. საქმიანობიდან	275 951
შემოსავალი საფინანსო საქმიანობიდან	
გასავალი საფინანსო საქმიანობიდან	- 7 493
წმინდა ფულის საფინანსო საქმიანობიდან	-7 493
სულ წმინდა ფული	268 458
საწყისი ნაშთი სალარო და ბანკი	0
პერიოდის სალდო	268 458
საკურსო სხვაობის ეფექტი	0
საბოლოო ნაშთი სალარო და ბანკი	268 458

ზოგადი ინფორმაცია

შპს “მეგა ელექტრონიქსი” (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2019 წლის 13 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიის დამფუძნებელი არის თორნიკე ბოლქვაძე

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვიქტორ დოლიძის ქუჩა, N25, ბინა 60

შპს “მეგა ელექტრონიქსი” არის მსხვილი მრავალარხიანი სამომხმარებლო ელექტრო ტექნიკის საცალო მოვაჭრე, დაარსებული საქართველოში. იგი გაყიდვებს ახორციელებს რამოდენიმე მაღაზიის მეშვეობით. შპს “მეგა ელექტრონიქსი” თავის მომხმარებლებს სთავაზობს პროდუქტების ოპტიმალურ კომბინაციას, დამხმარე მოწყობილობებსა და სერვისებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ” (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად. საქართველოში რეგისტრირებული კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs). ზემოდ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა დაარსების დღიდან ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებებია გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტების შენიშვნებში.

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კონვერტაციის ხარჯი“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი: საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. სხვა მწარმოებლებზე ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და დღგ-ს გადასახადების გამოკლებით.

მიღებული ან მისაღები კრედიტ ნოტების აღიარება ხდება ხელშეკრულებაში ან შეთანხმებაში დათქმული პირობიდან გამომდინარე, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, კერძოდ როდესაც მომწოდებელთან შედარებისას ფიქსირდება დავალიანების ნაკლებობა და დავალიანების

შემცირების მიზეზი მომწოდებელს არ აქვს ახსნილი, ან როდესაც კრედიტ-ნოტი მიღებულია ბონუსის სახით კრედიტ ნოტიდან შემოსავალი ემატება საოპერაციო შემოსავალს.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

სატრანსპორტო საშუალებები, სარეკლამო მასალები, ოფისის აღჭურვილობა, სამაღაზიე მოწყობილობა 20 პროცენტი, და იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა 20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. შპს მეგა ელექტრონიკსში არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა

კომპანიაში ფიქსირდება ჩვეულებრივი იჯარა. იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურეობის ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

1. ამონაგები

ამონაგები მოიცავს შემოსავლებს რეალიზაციიდან შემცირებული განვადების საკომისიო თანხით:

შემოსავალი რეალიზაციიდან	3 408 331
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	-23 015
განვადებების საკომისიო	-24 807
სულ	3 360 509

2. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი შედგება სხვადასხვა არასაოპერაციო შემოსავლებისგან

შემოსავალი კრედიტ ნოტებიდან	121 055.34
იჯარა	1 694.92
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4.11
სულ შემოსავლები	122 754.37

3. ფინანსური დანახარჯები

	ლარი
7435, დაზღვევა	175.11
7435.01, ა/მანანების დაზღვევა	175.11

4. დაბეგვრამდე მოგება

დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას ჩართულია შემდეგი ხარჯები:

	ლარი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1 939 262
მიწოდების ხარჯები	-9 571
ადმინისტრაციული ხარჯები	-439 927
	<u>-2 388 761</u>

5. თავის მხრივ ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	ლარი
შრომის ანაზღაურება	147 615.29
საიჯარო ქირა	255 059.66
ქონების გადასახადი	98.92
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	10 305.05
დაცვის მომსახურება	584.75
საწვავის ხარჯი	4 047.31
ა/მანქანების ხარჯი	465.26
დაზღვევა	175.11
საკონსულტაციო ხარჯები	7 500.00
სამეურნეო ხარჯი	2 937.08
ცვეთა და ამორტიზაცია	333.33
ბანკის საკომისიო ხარჯი	9 818.17
სხვა საერთო ხარჯები	987.27
	<u>439 927.20</u>

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	ლარი
საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილი	38,583

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი

გასაყიდი საქონელი	1,471,744
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	829
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	1,472,573

8. ძირითადი საშუალებები

სულ ძირითადი საშუალებები	9,491	
ოფისის აღჭურვილობა	1,017	
სატრანსპორტო საშუალებები	8,474	
ძირითადი საშუალებების ცვეთა		333

9. არამატერიალური აქტივები

	ლარი
არამატერიალური აქტივები	0

10. სავაჭრო ვალდებულებები

	ლარი
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი	711,423

ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული ჰქონდა რამდენიმე სამაღაზიო და სასაწყობო ფართი. ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად შეადგენს 255,060 ლარს

11 კაპიტალი

ქვემოთ გთავაზობთ კაპიტალში ცვლილების დეტალიზაციას

	ლარი
საწესდებო კაპიტალი	0
განვლილი პერიოდის ზარალი	-1,094,587

12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	ლარი
1100, ნაღდი ფული სალაროში	26 449
1200, ფული საბანკო ანგარიშებზე	242 070
1430, მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-60.00
სულ:	268 458

13. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უფიქსირდება

შპს „მეგა ელექტრონიკის“ დირექტორი
თორნიკე ბოლქვაძე

10. სავაჭრო ვალდებულებები

მოწოდებიდან და მომსახურებიდან
წარმოქმნილი

ლარი
711,423

ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული ჰქონდა რამდენიმე სამაღაზიო და სასაწყობო ფართი. ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად შეადგენს 255,060 ლარს

11 კაპიტალი

ქვემოთ გთავაზობთ კაპიტალში ცვლილების დეტალიზაციას

საწესდებო კაპიტალი
განვლილი პერიოდის ზარალი

ლარი
0
-1,094,587

12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

1100, ნაღდი ფული სალაროში
1200, ფული საბანკო ანგარიშებზე
1430, მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ
სულ:

ლარი
26 449
242 070
-60.00
268 458

15. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უფიქსირდება

შპს „მეგა ელექტრონიკის“ დირექტორი
თორნიკე ბოლქვაძე

